გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 117

2020 წლის 11 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148) განთავსებული N3 კომერციული დანიშნულების ობიექტის, 4.35 კვ.მ უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ:

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 24 ივლისს №12431 განცხადებით მომართა ფ.პ ნინო ჭახელიძემ (პ/ნ 59601133614), სადაც ფ.პ ნინო ჭახელიძე ითხოვს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე კომერციული დანიშნულების ობიექტის (მის: სტალინის და ჭავაჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი - მაღაზია N3) ს/კ 66.45.18.148, ფართობით 4.35 კვ.მ - ის, იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებას (იჯარას 2020 წლის 9 ივლისს ამოეწურა საიჯარო ხელშეკრულების ვადა).

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტ-ეკონომიქსი"-ს მიერ 2020 წლის 12 აგვისტოს „უძრავი ქონების შეფასების შესახებ" გრ-№57 დასკვნით, გორი, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N3 არასაცხოვრებელი ფართი 4.35 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 4 350 ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N3 კომერციული ფართი, 4.35 კვ.მ, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ს/კ (66.45.18.148), N3 კომერციული ფართი, 4.35 კვ.მ უძრავი ქონება გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2.მიწისქვეშა გადასასვლელში, ს/კ 66.45.18.148, N3 კომერციული ფართის 4.35 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 4 350 ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 480 (ოთხასოთხმოცი) ლარით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 1 (ერთი წლის ვადით).

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს:

ა) გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე, მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148), N3 უძრავი ქონება გაცემულ იყოს კომერციული დანიშნულებით (სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად) ასევე, N3 უძრავი ქონების მიმდებარედ განხორციელდეს მოვლა-პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა).

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე